განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული, როგორც მეორე ენა

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2019 წლის 20 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2019 წლის 30 იანვარი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული, როგორც მეორე ენა
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ბოლქვაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე (ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპულ ჩარჩოს და მიზნად ისახავს, რომ პროგრამის სტუდენტებმა ქართულის ცოდნის ამ დოკუმენტით განსაზღვრულ B1+ დონეს მიაღწიონ ოთხი მომართულებით: წერა, კითხვა, მოსმენა და მეტყველება. კურსები ისეა შერჩეული და შინაარსობრივად ისეა აგებული, რომ სტუდენტებს ქართული ენის შესწავლა მოუწევთ მათთვის საინტერესო, აქტუალური თემების მეშვეობით და რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ აუდიტორიაში მიღებულ ცოდნას.ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროგრამაში არის ის, რომ მეორე სემესტრიდან სტუდენტები სწავლობენ მედიცინასთან დაკავშირებული სხვადასხვა დარგების ტერმინოლოგიას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შედგა 2019 წლის 20 დეკემბერს წინასწარ დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პროგრამის თვითშეფასების ჯგუფსა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს. განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ აუცილებელია პროგრამას მოწვეული პერსონალის გარდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომელზეც დელეგირებული იქნება მთავარი ფუნქციები. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა ერთი აქამდე ოფიციალურად აღუწერელი აქტივობა: მესამე და მეოთხე კურსელები ეხმარებიან მოსამზადებელი კურსის სტუდენტებს ბიოლოგიის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის ტერმინოლოგიის ათვისებაში, რომელიც მათთვის აუცილებელია სტუდენტობის პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსსუ-ის ქართული ენის ცენტრი (ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, პირველი სასწავლო კორპუსი, მეორე სართული); თსსუ-ის ბიბლიოთეკა (ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, პირველი სასწავლო კორპუსი, პირველი სართული).ამით ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კარგი ინფრასტურქურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ სასურველი პირობები განათლების მისაღებად. ქართული ენის ცენტრი შედგება შვიდი სამუშაო ოთახისაგან, სადაც ლექტორები მუშაობენ სტუდენტებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ სტუდენტებთან სამუშაოდ. სტუდენტები ქართულს სწავლობენ ახალი ტექნოლოგიების საშუალებით

ამას გარდა, ესპერტთა ჯგუფის წევრები ცალკე შეხვდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ესაუბრნენ პროგრამის კურსდამთავრებულებსა და პროგრამის ამჟამინდელ სტუდენტებს. ამ შეხვედრას დიდი მნიშვენლობა ჰქონდა სტუდენტთა მოსაზრებების მოსმენისა და განხილვის მიზნით. სტუდენტები ხაზს უსვამენ გრამატიკის სწავლების მაღალ დონეს, რომელიც შემდეგ მყარდება სავარჯიშოებით; თუმცა ზოგიერთი სტუდენტი გამოთქვამს კრიტიკულ მოსაზრებას ნაკლები ინტერაქტიურობისა და ერთფეროვანი სასწავლო მეთოდების გამო. სტუდენტების ერთი ნაწილი თვლის, რომ უმჯობესია ჯგუფი დაკომპლექტდეს ქართული

ენის ცოდნის მიხედვით ერთგაროვანი შემადგენლობით. ახლა ჯგუფები ენის ცოდნის დონის მიხედვით შერეულია, რაც ქმნის მათთვის გარკვეულ პრობლემებს. სტუდენტებს ურჩევნიათ, გაიზარდოს გაკვეთილების ხანგრძლივობა და სხვადასხვა მიმართულებას სხვადასხვა ლექტორი უძღვებოდეს. ამჟამად ერთ ლექტორს მიჰყავს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებები. ყველა სტუდენტი კმაყოფილია იმ სასწავლო ელექტრონული რესურსებით, რომლებიც გამოიყენება ქართული ენის სწავლების დროს. სტუდენტებს მოსწონთ ის, რომ აწყობენ ღონისძიებებს ქართულ ენაზე და მათი წარმატებები აისახება უნივერსიტეტის გაზეთში.

სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტებმა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს გააცნეს ძირითადი მიგნებები და მოისმინეს ჯგუფის წევრებისგან განმარტებები. გამოჩნდა, რომ პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი მზადაა ღიაობისთვის, იღებს და რეაგირებს შენიშვნებზე. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის მკვეთრად და ნათლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. ექსპერტთა ჯგუფისთვის აშკარა გახდა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაინტერესებულია ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე ორგანიზებით, პროგრამაში ჩართულმა მოწვეულმა პერსონალმა კარგად იცის მეორე და უცხო ენების სწავლების ახალი მეთოდები. ისინი მზად არიან მუდმივად გააუმჯობესონ სილაბუსები. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პროგრამის ხელმძრვანელი ძალიან დატვირთულია. იგი ქმნის ყველა სილაბუსს, რომლის მიხედვით მოწვეული მასწავლებლები მუშაობენ. სასურველია პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი იყოს ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც კონკურსის წესით დაიკავებს თანამდებობას და არა საათობრივი ანაზღაურებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა ეყრდნობა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტს და სრულად შეესაბამება მას. პროგრამის ძირითად ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეფუძნება ენის სწავლების კომუნიკაციურ და ფუნქციურ მიდგომას. ქართული ენის ძირითადი კურსის გარდა, პროგრამაში სხვადასხვა დონის სტუდენტები ერთიანდებიან თითოეულ ჯგუფში. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე სემესტრიდან სტუდენტებისათვის დარგობრივი კურსების შეთავაზება და ისეთი ტერმინოლოგიის ათვისება, რომელიც მათ სჭირდებათ, როგორც მომავალ ექიმებს. ეს კი საფუძველს უმზადებს ბაკალავრიატის მომავალ სტუდენტს, რომ შეძლოს იმ აქტივობების შესრულება, რომლებიც მას მოეთხოვება სხვადასხვა სალექციო კურსის გავლისას. სხვადასხვა კურსის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, პროექტები და დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის მონაწილეებს, უკეთ გაეცნონ საუნივერსიტეტო ცხოვრებას და ქართულ სოციალურ კულტურას, უმტკივნეულოდ გაიარონ ადაპტაციის პროცესი და გახდნენ ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრები.

- **რეკომენდაციები**

--

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება და ჯგუფების დაკომპლექტება ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით - შერეული ჯგუფის ნაცვლად ერთგვაროვანი, ერთ დონეზე მყოფი სტუდენტების შეყვანა თითოეულ ჯგუფში.
- სასურველია წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებებს სხვადასხვა ლექტორები უძღვებოდნენ.
- პროგრამის შექმნაში სასურველია მონაწილეობდეს ყველა პედაგოგი და მთელი დატვირთვა არ მოდიოდეს პროგრამის ხელმძღვანელზე, რომელიც სხვა პედაგოგთა მსგავსად მოწვეულია.
- პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელია, რომ რომ პროგრამას ხელმძღვანელობდეს კონკურსის წესით არჩეული პროფესორი.
- ასევე სასურველია, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის ფარგლებში განუვითარდეთ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ.
- პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის ნაწილი და ამ დოკუმენტშია მოცემული მისი დეტალური აღწერაც.
- წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი რჩება, რომელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების შედეგების დადარება ხდება მოცემულ სამიზნე ნიშნულებთან. აკრედიტაციის 1.2 სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს.
- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედგების შეფასება დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. განსახილევლი პროგრამის შემთხვევაში, ორი წელი მოიცავს პროგრამის განხორციელების ორ სრულ ციკლს. იმისათვის, რომ პროგრამის განხორციელების პირველი ციკლის განმავლობაში გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე რეაგირება იყოს მყისიერი და შესაბამისი ცვლილებების დანერგვა დროული, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს პროგრამის განხორციელების თითოეული ციკლის დასრულების შემდეგ, რომ პროგრამის განვითარება გახდეს უწყვეტი და პერმანენტული პროცესი, ხოლო ხარვეზების შემთხვევაში, რეაგირება იყოს მყისიერი.
- სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათ სურთ, რაც შეიძლება მალე მიიღონ შუალედური შეფასებების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტთა ეს სურვილი უნდა იქნეს გათვალისწინებული.
- პროგრამა ძირითადად აგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების მიმართულებით.
- სასურველია პერსონალის წახალისების გაძლიერება ფინანსური უზრუნველყოფის გზით.
- სემესტრში მინიმუმ ერთხელ გამოკითხვის ჩატარება სტუდენტებთან და მათი შეხედულებების/ რჩევების საფუძველზე შესაბამისი ზომების მიღება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- მისასალმებელია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური მიდგომა და სტუდენტის ყოველდღიურ აკადემიურ საჭიროებებზე მორგებული თემების შეტანა;
- დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტში არსებული მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები და მრავალი რგოლი, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს, მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია;
- საუკეთესო პრაქტიკაა ქართული ენის სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „ქართული, როგორც მეორე ენა“ შემუშავებულია, რათა ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიის აღსრულებას და გულისხმობს მულტიკულტურულ და დემოკრატიულ გარემოში შრომის და განათლების ბაზრის მოთხოვნათა შესატყვისი კომპეტენციებით აღჭურვილი კადრების მომზადებას. პროგრამის მიზანში ნათლად იკითხება პროგრამის კონცეპტუალური ხედვა. მიზნის თანახმად, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კომპეტენციები სამი მიმართულებით იშლება: ენობრივი კომპეტენცია (B1+); აკადემიური უნარ-ჩვევები; ინტერკულტურული კომპეტენცია. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ დანახული საჭიროებიდან ჩანს, რომ გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს აკლიათ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ. ეს კი ხელს

უშლის მათ ჩართვას საუნივერსიტეტო პროცესებში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური უნარ-ჩვევების განმავითარებელი თემების ინტეგრირება ქართული ენის პრაქტიკულ კურსებში სწორედ ამ დანაკლისის შევსებას ემსახურება.

როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამას არა ჰყავს ძირითადი პერსონალი ამ პროგრამისათვის. უნივერსიტეტის ადმინსიტრაციის, ასევე პროგრამის მოწვეული პერსონალის მსჯელობიდან კარგად ჩანს პროგრამის ფარგლებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების საჭიროება. პროგრამის მონაწილეები ძირითადად რეგიონების მცხოვრები მოქალაქეები არიან. ეს კი, მათ განსხვავებულ კულტურასა და ტრადიციებზე მიგვანიშნებს. პროგრამის მიზნების განსაზღვრისას სამუშაო ჯგუფი დაეყრდნო დაინტერსებული მხარეების (სკოლის საბჭო, დარგის სპეციალისტები სხვა უნივერსიტეტიდან) მოსაზრებებსა და ბაზრის კვლევის შედეგებს. სამუშაო ჯგუფი კარგად იცნობს ბაზრის მოთხოვნებს და მსჯელობისას ასაბუთებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების აუცილებლობას სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვისთვის. მით უფრო იმ ფონზე, აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა მომართვიანობა მიმდინარე წელსაც მაღალია.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ:
პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიასა და მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და პროგრამების სწავლის შედეგები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად შეესაბამება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამაში სრულად არის ასახული ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი კომპეტენციები: წერა, კითხვა, მოსმენა და მეტყველება; სილაბუსებში ასახულია სტუდენტთა პრაქტიკული და სხვა უნარების განვითარება ცოდნისა და გააზრების კუთხით, ასევე ასახულია ცოდნისა და გააზრების სპეციფიკური მეთოდები და გათვალისწინებულია დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები.

პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, პერსონალის და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების მონაწილეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №24/10 დადგენილებით - http://new.tsmu.edu/content/2/42/0/0/0/0;
- თსსუ-ის სტრატეგიული გეგმა;

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა -ქართული, როგორც მეორე ენა
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარებისთვის გასათვალისწინებელია სტუდენტთა სურვილი, ჯგუფების დაკომპლექტება ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით და კითხვის, წერის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებები მიჰყავდეს სხვადასხვა ლექტორს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა დას მულტიმედიური დავალებების ჩართვა ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა უნივერსიტეტის ხედვასა და მისიას. პროგრამას აქვს სამი მნიშვნელოვანი მიზანი, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ შემადგენელზე მუშაობას.

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული. ნაჩვენებია ამ სამი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის გზები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეყრდნობა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს და მეორე მხრივ, ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს. კერძოდ, გათვალისწინებულია სხვადასხვა ყოფითი სფეროს შესაბამისი სოციალური კონტექსტი, რომელშიც სტუდენტებს მოუწევთ კომუნიკაცია. აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამის განმახორციელები ჯგუფის მიერ შემუშავებულია კონკრეტულად ამ პროგრამის მიზნებზე მორგებული სასწავლო მასალა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია და შეესაბამება სტუდენტის საჭიროებებს, ასევე, გათვალისწინებულია ქართულ ენაში მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები და მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი". ქართულ ენაში მომზადების საგანმათლებლო პროგრამა შემუშავებულია აღნიშნული წესის თანახმად. როგორც ინტერვიუებიდანაც დადასტურდა, პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ადმინსტრაციული და მოწვეული პერსონალის ჩართულობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლის თანახმადაც გამოიყენება პირდაპირი (კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმები - ტესტი, ქვიზი, გამოცდა, თუ სხვა სახის აქტივობები) და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები (სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, კურსდამთავრებულების რაოდენობა და საბოლოო შეფასება, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები, და სხვ.

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კურსები და ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები, ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი;

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართულია არა მხოლოდ უნივერსტიეტის ხარისხის უზრუველყოფის სამსახური, არამედ ქართული ენის ცენტრი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და ძირითადი მიგნებები ეყრდნობა ქართული ენის ცენტრის მიერ ჩატარებულ პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შეიძლება გახდეს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და უნივერსიტეტის მმართველი რგოლების -

ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი.
უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედგების შეფასება დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. წიანმდებარე პროგრამის შემთხვევაში, ორი წელი მოიცავს პროგრამის განხორციელების ორ სრულ ციკლს. იმისათვის, რომ პროგრამის განხორციელების პირველი ციკლის განმავლობაში გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე რეაგირება იყოს მყისიერი და შესაბამისი ცვლილებების დანერგვა დროული, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს პროგრამის აგნხორციელების თითოეული ციკლის დასრულების შემდეგ.
პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის ნაწილი და მასშია მოცემული მისი დეტალური აღწერაც. მნიშნველოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში, სადაც აღწერილია სამიზნე ნიშნულები, ცხადად იკითხება მის განსაზღვრის მეთოდოლოგია. წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი რჩება, მოცემული სამიზნე ნიშნულით რომელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასება ხდება, რაც აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტთან წინააღმდეგობაში მოდის.
საერთო ჯამში, პროგრამა შედეგიანია და შეესაბამება მოცემულ სტანდარტებს. სწავლის შედეგები ჩამოყალიბეულია ლაკონურად, არის გაზომვადი და რეალისტური. სწავლის შედეგებზე მუშაობისას უზრუნველყოფილია მხარეთა ჩართულობა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ქმედითია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“;
- სწავლის შედეგების შეფასების წესი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის ნაწილი და ამ დოკუმენტშია მოცემული მისი დეტალური აღწერაც.
წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი რჩება, რომელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების შედეგების დადრება ხდება მოცემულ სამიზნე ნიშნულებთან.
აკრედიტაციის 1.2 სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედგების შეფასება დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. წიანმდებარე პროგრამის შემთხვევაში, ორი წელი მოიცავს პროგრამის განხორციელების ორ სრულ ციკლს. იმისათვის, რომ პროგრამის განხორციელების

პირველი ციკლის განმავლობაში გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე რეაგირება იყოს მყისიერი და შესაბამისი ცვლილებების დანერგვა დროული, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს პროგრამის განხორციელების თითოეული ციკლის დასრულების შემდეგ, რომ პროგრამის განვითარება გახდეს უწყვეტი და პერმანენტული პროცესი, ხოლო ხარვეზების შემთხვევაში, რეაგირება იყოს მყისიერი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა დაშვება პროგრამაზე განსაზღვულია კანონმდებლობით (იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1[2] პუნქტი) და ეყრდნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს. სწორედ სახელმწიფო დაფინანსება და დარგობრივი სტანდარტი განაპირობებს პროგრამის გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებსა და პროცედურებს უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1[2] პუნქტი ▪ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი #1, დანართი #2; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სამიზნე ნიშნულები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტუდენტთა განაწილება ჯგუფებში ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით და წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებების წაყვანა სხვადასხვა ლექტორების მიერ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აგებულია ისე, რომ ენის შემსწავლელი წარმოდგენილია ქართულენოვანი სამოქალაქო საზოგადოების მომავალ სრულფასოვან წევრად, რომელმაც ცხოვრებისეულ და აკადემიურ ამოცანებს თავი უნდა გაართვას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ამგვარ ამოცანათა აუდიტორიაში გადმოტანას, საჭირო კომპონენტების იდენტიფიცირებას, სწავლებას და საბოლოოდ, რეალური საკომუნიკაციო ამოცანის შესრულებას შემსწავლელთა მიერ. პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებული აქტივობები ამ პრინციპზეა აგებული: სასწავლო მონაკვეთის (თემა, საკითხი) დასრულებისას სტუდენტმა რეალურად უნდა შეასრულოს ესა თუ ის ყოფითი თუ აკადემიური ამოცანა (მისწეროს წერილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, მოითხოვოს ინფორმაცია, დაესწროს ლექციას, დასვას შეკითხვა და სხვ.). ამის გათვალისწინებით, პროგრამის მთავარი მეთოდური ხაზი არის ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და კომუნიკაციური მიდგომა.

პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, სამიზნე კულტურის ელემენტების სწავლებას, მეორე მხრივ, ეყრდნობა ინტერკულტურული განათლების პრინციპებს და სტუდენტებს უვითარებს კულტურათა სხვადასხვაგვარობის დანახვის, განსხვავებულ კულტურაზე დაკვირვების, როგორც ახალი ცოდნის აღმოჩენის უნარს.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი (ECTS).

პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, ახალი და მემკვიდრე დისციპლინები პარალელურად არ ისწავლება, მათ შორის - არც საგნის განმეორებითი მოსმენის დროს.

პროგრამაში გათვალისწინებულია მოდულების გარკვეული თანმიმდევრობის პრინციპი. “ქართული ენა 1”-ის წარმატებული შესწავლა აუცილებელი წინაპირობაა “ქართული ენა 2”-ის სწავლებაზე დასაშვებად. მოდულში “ქართული ენა 1” კურსები მიმართულია ქართული ენის ზოგად -საბაზისო ცოდნისა და ენობრივი უნარების განვითარებაზე. “ქართული ენა 2” აგებულია ისე, რომ სტუდენტებს აძლევს კომპეტენციებს, რომლებიც მის მიერ პროფესიული/აკადემიური განათლების გაგრძელების შესაძლებლობას განსაზღვრავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სილაბუსები;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლების სფეროს აქტუალურ მეთოდებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სილაბუსი შეიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) სასწავლო კურსის სახელწოდება; ბ) ავტორი და/ან განმახორციელებელი; გ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები; დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად; ე) დაშვების წინაპირობები; ვ) სწავლის შედეგები; ზ) შინაარსი; თ) სწავლების/სწავლის მეთოდები; ი) შეფასების კრიტერიუმები; კ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; ლ) სწავლის შედეგების და შეფასების რუქა. ყველა სილაბუსი აჩვენებს მასზე მომუშავე და პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიონალიზმს, რაც გამოიხატება იმით, რომ თითოეული კურსი ემსახურება პროგრამის საბოლოო მიზნების მიღწევას და გამოყენებულია ენის სწავლების ახალი მეთოდოლოგია. სილაბუსების შემუშავებაში არ მონაწილეობს მოწვეული პერსონალი, მაშინ როცა პროგრამას ძირითადად სწორედ მოწვეული პერსონალი ახორციელებს, რაც ქმნის პროგრამის მდგრადობისთვის საფრთხეს. სასურველია ტერმინოლოგიის ზუსტად გამოყენება. უხერხულია წერის უნარის

სამეტყველო უნარებად მოხსენიება სილაბუსებში. პროგრამას მეორე სემესტრიდან აქვს ისეთი კურსები, რომლებიც აუცილებელია სამედიცინო უნივერსიტეტის სრუდენტებისათვის მათი კომპეტენციის გასაფართოებლად და უვითარებს სტუდენტს აკადემიურ უნარ-ჩვევებს საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. სასწავლო მასალები შემუშავებულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ძირითადი მახასიათებლებია ის, რომ: პროგრამაში გამოყენებულია ენისა და შინაარსის ინტეგრირებულად სწავლება. დიდი ყურადღება ექცევა ინტერკულტურულ განათლებას. • ყველა კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებს • აქტივობები და შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "ქართული, როგორც მეორე ენა" შინაარსი; • თანმხლები სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სილაბუსების შემუშავებაში არ მონაწილეობს მოწვეული პერსონალი, მაშინ როცა პროგრამას ძირითადად სწორედ მოწვეული პერსონალი ახორციელებს, რაც ქმნის პროგრამის მდგრადობისთვის საფრთხეს. სასურველია ტერმინოლოგიის ზუსტად გამოყენება. უხერხულია წერის უნარის სამეტყველო უნარებად მოხსენიება სილაბუსებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები, რომლებაც გავლილი აქვთ ქართულის, როგორ მეორე ენის საგანმანათლებო პროგრამა აღწევენ იმდენად კარგ შედეგებს, რომ ისინი წარმატებით მონაწილეობენ უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტთა კვლევით ინიციატივებს (კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და ა. შ. სტუდენტთა მონაწილეობას). ასევე მნიშვნელოვანია სტიდენტთა ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში (კონცერტებში, გამოსვლებში, ექსკურსიებსა და ლაშქრობებში). მათი წარმატებების ასახვა უნივერსიტეტის გაზეთში, რაც სტუდენტებისთვის ძალიან წამახალისებელია როგორც ინტერვიუს დროს გამოჩნდა. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული კონტიგენტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსფერული და მომავალი ექიმისთვის კომპეტენციისთვის საჭირო უნარების განვითარება. ტრანსფერული უნარები სტუდენტს საშუალებას აძლევს, თავისი ცოდნა ადეკვატურად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში, შეძლოს პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიღებული ცოდნის გადატანა ანუ ტრანსფერი, რასაც ხელს უწყობს პროგრამაში შემავალი ყველა საგანი, ხოლო სამედიცინო ტერმინოლოგიის (განსაკუთრებით ანატომიისა და ფიზიოლოგიის) შესწავლა და გამოყენება ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ძალიან მისასალებელი და დასაფასებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის “ქართული, როგორც მეორე ენა” შინაარსი;

- თანმხლები სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზება და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება სწავლა-სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით. სწავლებისას გამოყენებულია:

➢ კომუნიკაციური მიდგომა. ამოსავალია ის საკომუნიკაციო სიტუაცია, რომელშიც შემსწავლელს ამა თუ იმ სამეტყველო უნარ-ჩვევის გამოყენება უწევს. ენობრივი საშუალებები აქტიურდება საკომუნიკაციო სიტუაციებში. კომუნიკაციური მიდგომით დიდაქტიზებული სასწავლო მასალები სტუდენტებს გაუადვილებს მიზნობრივი ენის გამოსაყენებელი საკომუნიკაციო საჭიროებების გაცნობას.

➢ ქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა-სამეტყველო აქტში მნიშვნელოვანია ამოცანა, რომელსაც თავი უნდა გაართვას შემსწავლელმა. სასწავლო პროცესში რეალობასთან მიახლოებული ამოცანების შექმნა შემსწავლელს ამზადებს, აუდიტორიაში მიიღოს ცოდნა, რომლის გამოყენებაც მის მიღმა დასჭირდება.

➢ ენების სწავლა-სწავლება ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ცოდნის აგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია წინარე ცოდნის გახსენება, არსებული ცოდნის დაკავშირება ახალთან.

➢ აღმოჩენით სწავლება - ენების სწავლა-სწავლებაში მნიშვენლოვანია, სტუდენტი ცოდნის მექანიკური მიმღები არ იყოს და თავად ჩაერთოს ახალი ცოდნის აღმოჩენის პროცესში (მაგ., გრამატიკული წესის ტექსტზე დაკვირევბის შედეგად აღმოჩენა).

➢ სიმულაცია და როლური თამაში - ეს აქტივობები ხელს უწყობს შემსწავლელს, რეალობასთან მიახლოებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში განიმტკიცის ცოდნა და მოემზადოს რელური ენობრივი აქტებისთვის.

➢ ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური მუშაობა - მუშაობის ეს სოციალური ფორმები სასწავლო პროცესის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება გამოიყენებოდეს: მაგ., შედარებით რთული დავალების შესასრულებლად წყვილებში მუშაობა შემსწავლელს უადვილებს სამუშაოს, უვითარებს თანამშრომლობის უნარს.

➢ ინტერკულტურული სწავლება - მნიშვნელოვანია სტუდენტებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სამიზნე კულტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებს, მერე მხრივ, სტუდენტის სოციო-ლინგვისტური მგრძნობელობის განვითარებას და მის მზაობას, ისწავლოს მულტიკულტურულ გარემოში.

➢ ელექტრონული რესურსით სწავლება - შექმნილია სპეციალური ვებგვერდი, რომეზეც გადიან ავტორიზაციას სტუდენტები და ელექტრონულად იღებენ დავალებებს, რომლებსაც ელექტრონულად ასრულებენ.

➢ე. წ. Peer Review (ურთიერთშეფასება) - პედაგოგი სტუდენტს სთავაზობს სხვა სტუდენტს/ებს გაუსწოროს წერილობითი ან ზეპირი მეტყველებისას დაშვებული შეცდომები (არ იგულისხმება რედაქტირება). ასევე, მასალა, რომელიც სტუდენტმა კარგად და სრულად აითვისა, აუხსნას სხვა სტუდენტს, რომელსაც ამავე მასალის გაგებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ჰქონდა. მსგავსი აქტივობები, სტუდენტს ეხმარება ცოდნის გამყარებაში, თვითშეფასებაში, საკუთარი საჭიროებების განსაზღვრასა და საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა-მართვაში. გარდა ამისა, სტუდენტს ეხმარება გახდეს უფრო ემპათიური და ტოლერანტი სხვებთან მიმართებაში.

➢კინოჩვენებები - სწავლების მეორე სემესტრში სტუდენტებისთვის ეწყობა საერთო ჯგუფური კინოჩვენებები. სტუდენტები უყურებენ როგორც ქართულ, ასევე ქართულად თარგმნილ მათთვის ნაცნობ ფილმებს. ფილმის ჩვენების შემდეგ იმართება დისკუსია. ეს მეთოდი სტუდენტს ეხმარება გაიუმჯობესოს მოსმენა-გაგების უნარები და ლექსიკური მარაგი, უვითარებს მიღებული ინფორმაციის სინქრონული ანალიზისა და სწრაფი უკუკავშირის უნარებს.

➢ დანერგილია სტუდენტთა ურთიერთდახმარების მეთოდი. ერთმანეთს ეხმარებიან და

აფასებენ როგორც ერთი ჯგუფის სტუდენტები, ისე ამ საგანამანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "ქართული, როგორც მეორე ენა" შინაარსი;
- პროგრამის სილაბუსების შინაარსი;
- სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეფასების მარეგულირებელი შიდასაუნივერსიტეტო ნორმატივი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნორმატიული და სხვა სამუშაო დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. თანამედროვე მეთოდებიდან განსაკუთრებით ყურადღება ექცევა კომუნიკაციურ და ქმედებაზე ორიენტირებულ მიდგოებს; სწავლა-სწავლებისას წინ არის წამოწეული კონსტრუქტივიზმის პრინციპი, ახალი ცოდნის მიღებისთვის კი - როლური თამაშები. ამას გარდა, განმეორებადი ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულაციის მეთოდი, ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობა გამოყენებულია სოციალური და ინტერკულტურული ურთიერთობების უნარის განსავითარებლად. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. საილუსტრაციოდ გამოდგება თითოეული საგნის სილაბუსი. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში სტუდენტის შეფასება გაწერილია შემდეგნაირად: 1. პროგრამა სტრუქტურირებულია მოდულებად, რომელიც აგებულია სასწავლო კურსებისაგან. თითოეული სასწავლო კურსი შუალედურად ფასდება დამოუკიდებლად. ენის ფლობისა და ცოდნის შეფასების სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, კოლოკვიუმები და საბოლოო სემესტრული გამოცდა გაერთიანებულია ყველა კურსისთვის (ანუ მოდულში) და ტარდება კომბინირებულად (წერითი (კითხვა-წერის უნარები) და ზეპირი (მოსმენა-გაგების უნარები) სახით). 2. სემესტრის დასრულებისას სტუდენტი იღებს ერთ შეფასებას. 3. სასწავლო კურსის შუალედური შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) აკადემიური აქტივობა - 15 ქულა ბ) წერითი დავალებები - 15 ქულა გ) ზეპირი დავალებები/თავისუფალი ესე - 15 ქულა დ) ე.წ. peer review (ურთიერთშეფასება) - 5 ქულა ბ) კოლოკვიუმი - 10 ქულა (2 x 5 ქულა) თითოეულ სასწავლო კურსში აკადემიური მოსწრების შეფასების სიზუსტისა და გაადვილებისათვის ცალკეულ კურსში სტუდენტი ფასდება 60 ქულის ფარგლებში (შუალედური შეფასება); კურსის ბოლოს კი მიღებული შეფასება მრავლდება კოეფიციენტზე 0.25 (ფორმულით: 1 კურსის 60 ქულა=1, ¼ კურსის ქულა (მოდულის შემადგენლობაში) = 1:4=0.25). მაგალითად, თუ სტუდენტმა სემესტრში სასწავლო მოდულის (ოთხი კურსი) ფარგლებში ჯამურად დააგროვა 180 ქულა, საბოლოო სემესტრულ გამოცდამდე მისი ნიშანი გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით: 180X0.25 = 45. 4. დასკვნითი გამოცდა არის კომბინირებული - ზეპირი და წერითი კომპონენტებით (ორივე სავალდებულოა). გამოცდა ფასდება 40 ქულით. წერითი კომპონენტი აერთიანებს

წერის, კითხვისა და პრაქტიკული გრამატიკის კომპეტენციებს და ფასდება 30 ქულით, ზეპირი კომპონენტი კი მოიცავს კომუნიკაციის და მოსმენა-გაგების უნარებს და ფასდება 10 ქულით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "ქართული, როგორც მეორე ენა" შეინაარსი; ○ პროგრამის სილაბუსების შინაარსი; ○ სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეფასების მარეგულირებელი შიდასაუნივერსიტეტო ნორმატივი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): შეფასების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია მეთოდი, რომლის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში, კერძოდ კი სწავლის შედეგების შეფასების და მისი შინაარსის შედგენაში ერთვებიან სხვადასხვა ჯგუფის ლექტორები. ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ყველა სტუდენტ ეცნობა სილაბუსს. მან წინასწარ იცის, თუ რაში, როგორ და როდის აფასებენ. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თავის პროფილიდან გახსნას ნებისმიერი სილაბუსი და გაეცნოს მას. ამდენად სილაბუსის აგებულება, შინაარსი, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის - „ქართული, როგორც მეორე ენა“ - სტუდენტების კონსულტაცია ხდება ძირითადად სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. ამავე სისტემის გამოყენებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას სასწავლო კურსების, სემესტრული ცხრილის, სწავლის მიღწევების შესახებ. სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს ოპერატიულად დაუკავშირდეს კურსის ლექტორს და მიიღოს მისგან ინდივიდუალური რეკომენდაციები. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ცხრილი დგება სემესტრის დასაწყისში. ინფორმაცია განრიგის შესახებ განთავსებულია ელეტრონული სისტემაში.

ქართული ენის ცენტრში მოწვეულ მასწავლებლებს განსაზღვრული აქვთ სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. თითოეულს კვირაში ორჯერ, მეცადინეობიბის დასრულების შემდეგ.
პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის დაწყებისთანავე პროგრამის ხელმძღვანელი მართავს საორიენტაციო შეხვედრებს. სტუდენტებს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის რეგულაციების, დაგეგმვისა და ადმინისტრირების შესახებ, უტარდებათ კონსულტაციები საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტაციისა და ინტეგრირების მიზნით.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია თსსუ-ის ვებ გვერდზე. დოკუმენტებში მითითებულია სტუდენტის უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები (თსსუ-ის ეთიკის კოდექსი, თსსუ-ის შინაგანაწესი). აღნიშნული დოკუმენტები დეტალურად აღწერს, თუ რისი უფლება აქვს სტუდენტს აკადემიურ პროცესში და როგორ ხდება ცალკეულ გარემოებებში სტუდენტის კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათ სურთ, რაც შეიძლება მალე მიიღონ შუალედური შეფასებების შესახებ ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;

- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- თსსუ-ქართული ენის ცენტრის დებულება;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულება;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი;
- სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "ქართული, როგორც მეორე ენა" შინაარსი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მათ სურთ, რაც შეიძლება მალე მიიღონ შუალედური შეფასებების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტთა ეს სურვილი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების პროგრამას მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობის კომპონენტები არა აქვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. პროგრამსს ჰყავს მხოლოდ მოწვეული ლექტორები, რაც არ არის ძლიერი საფუძველი პროგრამის მდგრადობისთვის. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება გვარწმუნებს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდება. ეს დაადასტურა მოწვეულ პერსონალთან გამართულმა ინტერვიუებმა. პროგრამაში ჩართულია პრაქტიკოსი პირები, რომლებსაც გააჩნიათ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება და პროფესიულ საზოგადოებაში სარგებლობენ კარგი რეპუტაციით. პროგრამის ხელმძღვანელს ქართულის, როგორც მეორე და/ან უცხო ენის სწავლებაში აქვს დიდი და ნაყოფიერი გამოცდილება. მას ამ მიმართულებით დიდი ხნის მანძილზე უმუშავია სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მას შედგენილი აქვს ელექტრონული რესურსები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ ქართული ენის შემსწავლელები. იგი სრულად არის ჩართული პროგრამის იმპლემენტაციაში. რადგან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს სპეციალური კონტიგენტი: საქართველოს ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები. პროგრამის სტუდენტების დასახმარებლად სპაციალურად არის გამოყოფილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე პროგრამაში ჩართულ პერონალს უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური თანამდებობა არ უკავია. აქედან გამომდიანრე, პროგრამაში არ არის ჩართული აკადემიური ან/და აფილირებული პერსონალი. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეიუწყოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მოზიდვას. კერძოდ, გამოცხადდეს კონკურსები პროგრამის აკადემიურ თანამდებობეზე, რაც გააჩენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კარიერულის წინსვლის ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მოზიდვის შესაძლებლობას. უნივერსიტეტი ძირითადად პროფილურ, კერძოდ, მედიცინის პროგრამებს ახორციელებს, შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ძირითადად ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში არიან ჩართულები. პერსონალის ნაწილი დამატებით კითხულობს მხოლოდ აკადემიური წერის ზოგადსაუნივერსიტეტო კურსს. აქედან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულიად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის სწავლის შედგების გამომუშაავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები. გარდა ამისა, ის ასევე არის ქართული ენის ცენტრის დირექტორი და აქტიურად არის ჩართული სფეროში მიმდინარე სიახლეების დარნერგვასა და ზოგადად, ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესებში. ის ჩართულია ასევე საქართველოს გაეროს ასოციაციისა და USAID-ის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში (PITA) გამართულ სამუშაო შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც ის თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან; პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდუნეტთა ინდივიდუალური კონსულტაციები. გარდა ამისა, სტუდენტებს კონსულტაციას უწევს, ფაკულტეტის

ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სამსახურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პერსონალის სამუშაო აღწერილობები-უნივერსიტეტის დებულება; პროგრამის განხორციელების წესი; სამუშაო აღწერილობები (დანართი N6); (დანართი N7);

- მოწვეული პერსონალი პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ითსსუ-ის პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად დაცული იქნეს ბალანსი ძირითად და მოწვეულ პერსონალს შორის. ამჟამად პროგრამას ახორციელებენ მოწვეული ლექტორები. თვით პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ქმნის ყველა სილაბუსს და პროგრამის კონცეფციას, მოწვეულია. ამ საქმეს უნდა უძღვებოდეს კონკურსის წესით არჩეული პროფესორი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები აჩვენებს, მათ არ აკლიათ წვრთნა და გამოცდილება მათი აკადემიურ და სამეცნიერო სფეროში. ისინი მონაწილეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და კონფერენციებში. ასევე, ჩართულნი არიან გაცვლით, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტებში, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თსსუ-ის ქართული ენის ცენტრის დირექტორისა და მოწვეული პერსონალის ჩართულობა ჩართულნი საქართველოს გაეროს ასოციაციისა და USAID-ის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში (PITA) გამართულ სამუშაო შეხვედრებს, კონფერენციებსა და სასწავლო წრთვნებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი; • ქართული ენის სწავლების პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული სამუშაო მივლინებების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, კონფერენციების, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას, დამადასტურებელი დოკუმენტები (სერთიფიკატები); • პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, მათი პირადი საქმეები (CV, სერთიფიკატები);
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ პროგრამა ძირითადად აგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და სხვა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „ქართული, როგორც მეორე ენა“ განხორციელდება კარგი ინფრასტურქურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ სასურველი პირობები განათლების მისაღებად.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნამდვილად შთამბეჭდავია, აუდიტორიები და მთლიანად სასწავლო სივრცე აკმაყოფილებს ყველაზე თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და არსებულ და დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას;

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ძალზე კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის, რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია ელექტრონულად მათი მოძებნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის ქართული ენის ცენტრში არსებული სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- თსსუ-ის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- თსსუ-ის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- თსსუ-ის ბიბლიოთეკის საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- თსსუ-ის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან;
- თსსუ-ის ბიბლიოთეკის საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა იმ რაოდენობით უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომ თითოეულმა სტუდენტმა დაუბრკოლებლად შეძლოს მისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურის გამოყენება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, რაც მყარ ფინანსურ საფუძველს უქმნის ამ პროგრამას. პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია. პროგრამას არ სჭირდება დოტაცია უნივერსიტეტის მხრიდან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს პროგრამის ბიუჯეტს; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის სახელმწიფო პროგრამა. მისი ფინანსური უზრუნველყოფა ხდება როგორც სახელმწიფო (სტუდენტის მიერ მოპოვებული გრანტის სახით), ასევე სტუდენტების თვითდაფინანსების, ან სხვა დაფინანსების ხარჯზე (მაგ. კომპანია “Socar Goergia”)). დაფინანსების გზების მრავალფეროვნება და უნივერსიტეტის პოლიტიკა - ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების საგანამნათლებლო პროცესებში ჩართვასა და მოანწილეობა მიიღოს ამ მიამრთულების სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებაში, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტი • უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხის მოცულობა; • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული ბიუჯეტი (საზ. ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭო, 15.12.2018, სხდომის ოქმი #2) • წლის განმავლობაში სტრუქტურული ერთეულის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი მოთხოვნები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საასურველია პერსონალის წახალისების გაძლიერება ფინანსური უზრუნველყოფის გზით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის (ფაკულტეტის, სადაც ხორციელდება პროგრამა) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის პრინციპს -„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე". ამ პრინციპის გათვალისწინებით, უნივესიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმები და შესაბამისი ინსტრუმენტები. ქართულ ენაში მომზადების საგანნმანათლებლო პროგრამა მომზადდა სწორედ ამ მექნიზმების შესაბამისად. სტუნდეტთა შეფასება და მისი ანალიზი ხარისხის მართვის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს. ხარისხის უზუნრველყოფის სამსახური მუდმივად აანალიზებს სტუდნეტთა აკადემიურ მოსწრებას და ნალიზის შედგებს იყენებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. ქართული ენის ცენტრისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა აკადემიურ პროცესთან დაკავშირებით. მიღბული მონაცემები და შესაბამისი მიგნებები გამოიყენება, პროგრამის ცვლილებებისთვის. პროგრამის შემუშავებამდე, ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურმა გამოიკითხა პროგრამის განხორციელეაში ჩართული მოწვეული პერსონალი და ის აკადემიური პერსონალი, რომელიც საბაკალავრო საფეხურზე ასწავლის პროგრამსი კურსდამთავრებულებს და შეუძლაი შეაფასონ მათი ენობრივი კომპეტენცია. აღნიშნული კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს რეაკრედიტაციისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი უნივერსიტეტის ხარისხის უზურნვეყოფის მთლიანი პროცესის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. შექმნილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შეფასების შემდეგ მექანიზმებს: ა) სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, განთესვის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი; ბ) საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; გ) სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით; დ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით; ე) სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლების ანალიზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • სილაბუსის შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები; • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების პროგრესია, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების მაჩვენებელი); თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სემესტრში მინიმუმ ერთხელ გამოკითხვის ჩატარება სტუდენტებთან და მათი შეხედულებების/ რჩევების საფუძველზე შესაბამისი ზომების მიღება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი. იმდენად რამდენადაც პროგრამის მონიტორინგის შიდა მექანიზმი უნივერსიტეტში გამართულია და პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ რეგულარულად ხდება მისი მოდიფიცირება-გაუმჯობესება, ხელახალი აკრედიტაცია, ამ შემთხვევაში, აკუმულირებული ცვლილებების ვალიდაციის საშუალებას წარმოადგენს. გარდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგმა და გსუ - ასოცირებულმა პროფესორმა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანმა. პროგრამაში გათვალისწინებულია გარეშეფასების შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“; • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმები ეყრდნობა ხარისხის განვითარების ორ მოდელს: • არსებული ვითარების შეფასება (პირველ რიგში,- ფაკულტეტის დონეზე, პროგრამის რეალიზების ფორმატში); • შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება/შეთავაზება მდგომარეობის

გაუჯობესებისათვის ან შენარჩუნებისათვის. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ციკლურად პროგრამის ხანგრძლივობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნულ პროცესში ჩართულია უნივერსტიტეტის ყველა მმართველობითი ერთეული და პროგრამის დაინტერესებული მხარეები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი და ანალიზური სამუშაოს პერიოდულობაა: • საბაკალავრო პროგრამის შეფასება - სამი წლის განმავლობაში ერთხელ; • სტუდენტთა გამოკითხვა - წელიწადში ერთხელ; • ბეჭდური სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის - საჭიროებისამებრ; • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების - წელიწადში ერთხელ. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი. • ინტერვიუს შედეგები; • თვითშეფასება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ თბილისის სახელმწფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: ქართული როგორც მეორე ენა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **38**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ ბოლქვაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე